



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N 20**

ქ. ლანჩხუთი
წელი

17. 11. 2017

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიმიგური. საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ნაჭყებია, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა. მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** მიულოცა ალექსანდრე სარიშვილს მერად არჩევა და წარმატებები უსურვა შემდგომ საქმიანობაში. იგი დარწმუნებულია, რომ

ახალ არჩეული მერი მაღალი პასუხისმგებლობით, ენერგიულობით, მიზანდასახულობით, რაიონის სიყვარულითა და თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე შეძლებს მუნიციპალიტეტისთვის მრავალი სასიკეთო საქმის გადაწყვეტას. მან საკრებულოს თითოეულ წევრს დიდი მადლობა გადაუხადა ურთიერთთანამშრომლობისთვის, მისი თქმით საკრებულო თავის უფლებამოსილებას ძირითადად კარგად ახორციელებდა. მან ასევე აღნიშნა საკრებულოს საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლების, მისი ყველა სამსახურისა და ხელმძღვანელის როლი. მან განსაკუთრებით გამოყო საკრებულოს აპარატი, დიდი მადლობა გადაუხადა ყველა მათგანს გაწეული მუშაობისთვის. ასევე აღნიშნა არასამთავრობო ორგანიზაციის, „ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბის“ წარმომადგენლების მინდია სალუქვაძისა და ლევან მჭავანაძის, ასევე მედიის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობა საკრებულოს სხდომების მუშაობაში.

გიორგი ხელაძემ ახალი მოწვევის საკრებულოს, თითოეულ არჩეულ დეპუტატს მიულოცა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნდობის გამოცხადება.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

4. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილი არჩეულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერად, რომელსაც უფლებამოსილება შეუწყდა (პირადი განცხადება შემოტანილია) მიმდინარე წლის 13 ნომბრიდან. აქედან გამომდინარე, საკრებულოს სხდომამ ცნობად უნდა მიიღოს აღნიშნული ფაქტი, რათა სამართლებრივი და იურიდიული თვალსაზრისით სწორად იყოს ეს საკითხი მოგვარებული.

ზემოთხსენებული ინფორმაცია საკრებულოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ**. მან აღნიშნა, რომ საკრებულოს და თვითმმართველობის მიერ მიღებულ სამართლებრივ - ადმინისტრაციულ ნორმატიულ აქტებზე სამართლებრივ ზედამხედველობას აწარმოებს პრემიერ - მინისტრი და მისი აპარატი. სწორედ მათ მიერ იქნა გამოთქმული შენიშვნები, რომ აღნიშნული საკითხთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის საკრებულო ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, არამედ ის უნდა მოგვარდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის ინდივიდუალური ბრძანებით. ამდენად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილებაზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ მიიღო სამართლებრივი დასკვნა. შემდგომში მისი კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას დოკუმენტების ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N27 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა დადგენილება N34 (17.11.2017)

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 10 თვის ანგარიში სხდომას წარუდგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 1-ელი ნოემბრის მდგომარეობით შემოსულობებმა 11508082 ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის 81,3%-ია, მათ შორის: გადასახდელების სახით ბიუჯეტში მობილიზებულია 807825 ლარი, გეგმის 52,1%; სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 843991 ლარი, გეგმის 93,0%; არაფინანსური აქტივების კლებიდან (გაყიდვა) მიღებულია შემოსავალი 14830 ლარი, წლიური გეგმის 5,6%; იმის გამო, რომ არ შესრულდება არაფინანსური აქტივების კლებიდან და ბუნებრივი რესურსების შემოსავლების წლიური გეგმა, სრულდ ვერ დაფინანსდება ბიუჯეტის მიერ აღებული ვალდებულებები. გრანტის სახით მიღებულია 9612544 ლარი, წლიური გეგმის 85,7%; აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 4944600 ლარი, გეგმის 92,3%; მიზნობრივი ტრანსფერი 183000 ლარი, გეგმის 83,2% ; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 2931075 ლარი, გეგმის 76,8%; სოფლის მხარდაჭერის პროგრამით აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გახარჯულია 103082 ლარი, გეგმის 47,8%; სტიქიით მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციოდ 1450787 ლარი, გეგმის 90,3%. მიმდინარე წლის 10 თვეში გაიხარჯა 11126463 ლარი, წლიური ხარჯის 78,6%, მათ შორის: შრომის ანაზღაურებაზე 1323965 ლარი, ფაქტიურად გაწეული ხარჯების 18,9%; შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე გაიცა 214413 ლარი, ხარჯების 3,0%; მივლინების ხარჯებზე მიმართულია 4254 ლარი, ოფისის ხარჯებზე 232846 ლარი, რაც გაწეული ხარჯების 3,3%; წარმომადგენლობით ხარჯებზე მიმართულია 12613 ლარი, რბილი ინვენტარის მუხლიდან მიმართულია 1251 ლარი, ტრანსპორტის ექსპლუატაციის ხარჯზე მიმართულია 108070 ლარი, გაწეული ხარჯების 1,54%; სხვა საქონელი და მომსახურების მუხლით გახარჯულია 170824 ლარი, ხარჯების 2,44%; არაფინანსური აქტივების ზრდაზე (ინფრასტრუქტურული ობიექტები) 4127817 ლარი, საკასო ხარჯების 58,9%; სუბსიდირებით გაიცა 4188343 ლარი, ხარჯების 59,84%; სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით გაიხარჯა 285917 ლარი, ხარჯების 4,0 %; სხვა ხარჯების მუხლით გაწეულია 294116 ლარი, ხარჯების 4,2 %; ვალდებულებების კლებაში (წინა პერიოდის დავალიანება) ინფრასტრუქტურული ობიექტების დაფინანსებაზე მიმართულია 162034 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ 10 თვეში ამოწურულია ტრანსპორტის ხარჯი, ასევე ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალურ შენობა-ნაგებობაში მოხმარებული წყლის ხარჯი. დაუფინანსებელი რჩება დასუფთავების ღონისძიებები წლის დარჩენილ პერიოდში, ასევე შპს „ლანჩხუთი“-ს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები. აღნიშნული საკითხების დარეგულირება პრობლემებთან არის დაკავშირებული და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმილი ადგილობრივი შემოსავლებით ვერ იქნება უზრუნველყოფილი.

დეპუტატმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, მუნიციპალიტეტის 2017 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი თავის დროზე რომ არ იყო მხარდასაჭერი, დღეს ეს დასტურდება, რადგან არასწორად იყო დაგეგმილი თითქმის ყველა მიმართულებით. მან ახლადარჩეულ მუნიციპალიტეტის მერს უსურვა, რომ რაც მან ვერ შეძლო როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმდომარეობის რანგიდან გამომდინარე სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების გამო, შეძლოს როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების რანგში და ამ პერიოდის განმავლობაში ბევრი სასიკეთო საქმეები გააკეთოს მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ამ მოწვევის საკრებულოში დარეჯან ბურჭულაძის სიტყვით ეს გამოსვლა იყო რიგით 130-ე.

საკრებულომ მიიღო დაგაწყვეტილება:

ცნობად იქნეს მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის 10 თვის შესრულების შესახებ ანგარიში.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის სხდომას წარუდგინა, გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 9 ნოემბერს საფინანსო სამსახურს დაეწერა N1373 წერილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამის 13186 ლარის შემცირების ხარჯზე, გაიზარდოს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა 500 ლარით; ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა 6336 ლარით; სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამა 6350 ლარით; ასევე სხვადასხვა ომებსა და კონფლიქტებში მონაწილე ვეტერანთა დახმარების პროგრამის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 400 ლარით და სხვა ხარჯების მუხლის 500 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოც. უზრუნველყოფის მუხლი 900 ლარით; სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 1012 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 1012 ლარით; წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების

ფინანსური უზრუნველყოფის 4000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 1050 ლარით, მუნიციპალიტეტის გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი გაიზარდოს 450 ლარით და ქალაქის ტერიტორიაზე მუნიციპალური შენობა ნაგებობაში დახარჯული წყლის გადასახადის ოფისი მუხლი 2500 ლარით. საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 24 დეპუტატი.

მომხრე 24 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N80 (17.11.2017)

სხვადასხვა:

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** მიულოცა მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს მერად არჩევა და ბევრი წარმატებები უსურვა. მიმდინარე საკრებულოს მუშაობის პერიოდში იგი აქტიურობით გამოირჩეოდა მან 150 -მდე საკითხი დააყენა, როგორც სუფსის მაჟორიტარმა დეპუტატმა. მისი თქმით, ახალი მოწვევის საკრებულოში დეპუტატის მიერ დაყენებულ ნებისმიერ საკითხს მნიშვნელობა არ აქვს სახელისუფლებო თუ ოპოზიციური მხრიდან იქნება იგი გაჟღერებული, აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უნდა მოყვეს მყისიერი პასუხი, ასევე თითოეულ დეპუტატს უნდა ჰქონდეს ინდივიდუალური მიკროფონი, რაც უფრო გაუადვილებს ახალი საკრებულოს დეპუტატებს მუშაობას.

დეპუტატმა **გიორგი გოგუაძემ** მიულოცა მუნიციპალიტეტის ახალ არჩეულ მერს და წარმატებები უსურვა, ასევე მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, მოადგილეს, თითოეულ წევრს ამ წლების განმავლობაში ერთობლივად გაწეული მუშაობისათვის. მან დააყენა წინადადება, რომ ტრადიცია გახდეს ძველი მოწვევის საკრებულოს წევრები დაესწრონ ახალი მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას, რაც მისი თქმით ძალიან საინტერესო იქნება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძე** დაეთანხმა, რომ წარმოდგენილი წინადადება არის მისაღები. ასევე, მისი თქმით დეპუტატი გიორგი გოგუაძე 2015 წლის 30 იანვარს ერთ საკრებულოს სხდომაზე 10-ჯერ გამოვიდა სიტყვით.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე საკრებულოს ფუნქციონირების პერიოდში განხილულ იქნა 399 საკითხი და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ყველა წარმოდგენილი საკითხის მიმართ იქნა გადაწყვეტილება მიღებული და ფაქტობრივად არცერთი საკითხი არ ჩავარდნილა. ასევე დაასახელა ყველაზე აქტიური 10 დეპუტატი, რომელიც საკრებულოს სხდომებზე გამოირჩეოდა აქტიურობით: გიორგი გოგუაძე, რომან ბიწაძე, დარეჯან ბურჭულაძე, კახაბერ ასკურავა, ჯუმბერ ბლაგიძე, ია ჩხაიძე, ნონა მურვანიძე, აკაკი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, თეიმურაზ ალექსაია.

3

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **რომან ბიწაძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს ურთიერთთანამშრომლობისთვის, საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს თავისი უფლებამოვალეების ჯეროვნად შესრულებისთვის. ასევე მან მიულოცა ახალ არჩეულ მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტის დაკავება და წარმატებები უსურვა.

დეპუტატმა **ამირან ქანთარია** იმედი გამოთქვა მხოლოდ ერთი ადამიანის შეხედულებები, როგორც ადრე იყო ახალი მოწვევის საკრებულოში არ იქნება ყოველთვის გათვალისწინებული. მან მიულოცა ახალ არჩეულ მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს მოსახლეობის მიერ ასეთი მაღალი ნდობის გამოცხადება და ბევრი წარმატებები უსურვა მუნიციპალიტეტისთვის სასიკეთო საქმეების განხორციელებაში.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **ია ჩხაიძემ** მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს მიულოცა ასეთი დიდი ნდობის გამოცხადება მუნიციპალიტეტის მოსახლეობისგან. იგი დარწმუნებულია თავისი ენერგიულობით, ცოდნით, გამოცდილებით, პასუხისმგებლობით ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს მუნიციპალიტეტისთვის. ასევე მან დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს თითოეულ წევრს, ყველა კომისიის წევრს ამ პერიოდის მანძილზე გაწეული ნაყოფიერი საქმიანობისთვის.

საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარემ, **ნონა მურვანიძემ** მადლობა გადაუხადა თითოეულ დეპუტატს თანამშრომლობისთვის, ასევე მიულოცა ახალი მოწვევის საკრებულოს წევრებს და ახალარჩეულ მუნიციპალიტეტის მერს მოსახლეობის ნდობის გამოცხადება და იქვე აღნიშნა, რომ ის დეპუტატები რომლებიც ვერ მოხვდნენ ახალი მოწვევის საკრებულოში ყოველთვის აქტიურები იქნებიან მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში და ჯანსაღ ოპონირებას გაუწევს ხელისუფლებას, თავის მხრივ ხელისუფლება კონსტრუქციულად უნდა მიუდგეს ჯანსაღ კრიტიკას, რომელიც ისევ და ისევ მუნიციპალიტეტისთვის იქნება უკეთესი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს ამ პერიოდის მანძილზე თავისი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებისთვის, ასევე თითოეულ საკრებულოს წევრს. მან ასევე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა თანამშრომელს ურთიერთთანამშრომლობისათვის. ახალარჩეულ მერს და საკრებულოს კი წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** დიდი მადლობა გადაუხადა ყველას მოლოცვისთვის, თითოეულ დეპუტატს ამ პერიოდის განმავლობაში განვლილი ურთიერთთანამშრომლობისთვის. გამსაკუთრებული მადლობა გადაუხადა, საკრებულოს თავმჯდომარეს გიორგი ხელაძე, მშვიდად პროფესიონალურად წარმართული საკრებულოს სხდომებისთვის, მასზე დაკისრებული მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის. ასევე დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს თანამშრომლობისთვის. მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებს, რომლებმაც ასეთი დიდი ნდობა გამოუცხადეს მას.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
საკრებულოს ბიურო